საქართველოს პროგრესის ანგარიში

ევროკავშირის
12 პრიორიტეტის
განხორციელება

საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პროგრესის ანგარიში

ევროკავშირის 12 პრიორიტეტის განხორციელება

საქართველოს პარლამენტი

პროცესი

2022 წლის ივლისის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს ევროპული პერსპექტივა მიენიჭა, საქართველოს პარლამენტმა დაიწყო 12 პრიორიტეტის შესრულების პროცესი.

პროცესისადმი საჭირო მხარდაჭერის მოპოვების, ასევე, პოლიტიკურ აქტორებისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი მუშაობის ხელშეწყობის მიზნით, პარლამენტის თავმჯდომარემ პროცესი საპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმასთან (GNP EAPCSF) შეხვედრით დაიწყო.

მას შემდეგ პროცესი მიმდინარეობს სამ დონეზე:

- საპარლამენტო სამუშაო ჯგუფები
- საპარლამენტო კომიტეტები
- პლენარული სხდომა

კონკრეტულ პრიორიტეტებზე სამუშაოდ შეიქმნა ცხრა საპარლამენტო სამუშაო ჯგუფი (იხილეთ დანართი 1), რომლებმაც შეაფასეს თითოეულ სფეროში არსებული მდგომარეობა და პარლამენტისა და სხვა უწყებების მიერ დასამტკიცებლად წარმოადგინეს ინიციატივები.

პროცესი მნიშვნელოვანია. პარლამენტის თავმჯდომარემ უზრუნველყო ღია კარის პოლიტიკა - ყველა საპარლამენტო პოლიტიკური პარტია მიწვეულ იქნა პრიორიტეტების განხორციელების პროცესში კონსტრუქციული მონაწილეობისთვის. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მეშვეობით), სახელმწიფო ინსტიტუტები და ექსპერტები ასევე მონაწილეობენ შეხვედრებსა და განხილვებში.

საქართველოს პარლამენტის 2022 წლის საკანონმდებლო საქმიანობის 30% ევროკავშირის 12 პრიორიტეტის განხორციელებას დაეთმო (იხილეთ დანართი 2).

საქართველოს მიერ ევროკავშირის რეკომენდაციების განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესი და ძირითადი მიღწევები

№	რეკომენდაცია	სამოქმედო გეგმის ძირითადი მიღწევები
1	დეპოლარიზაცია	მედიაში პოლარიზაციის ხელშემწყობი განცხადებების მონიტორინგი
		მოქმედებს ღია კარის პრინციპი - ყველა საპარლამენტო პოლიტიკურ პარტიას აქვს შესაძლებლობა, კონსტრუქციულად ჩაერთოს რეკომენდაციების შესრულებაში (ყველა მათგანი მოწვეულ იქნა სამუშაო პროცესში მონაწილეობის მისაღებად)
2	(ა) ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა	**2023-2026 წლების საჯარო სამსახურის რეფორმის სტრატეგიისა და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის მიღება** (2023 წლის თებერვალში საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული 2023-2026 წლების საჯარო სამსახურის რეფორმის სტრატეგია და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს მიმდინარე ან დაგეგმილ რეფორმებს: 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციისსტრატეგია; 2022-2025 წლების სახელმწიფო სერვისების განვითარების სტრატეგია; საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგია; ციფრული მმართველობის სტრატეგია; ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია; საქართველოს ღია მმართველობის სამოქმედო გეგმა)
	(ბ) სახელმწიფო ინსტიტუტებზე დემოკრატიული ზედამხედველობის გაძლიერება	**თავდაცვის ახალი კოდექსის** მიღება თავდაცვის ახალი კოდექსი ნატოს სტანდარტების მიხედვით აწესრიგებს აღნიშნულ სფეროს და განამტკიცებს ქვეყნის თავდაცვის სისტემის ინსტიტუციურ არქიტექტურას.
		საზედამხედველო ინსტრუმენტების გაძლიერების მიზნით **საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის რეფორმა** (სიახლეები უკავშირდება ინტერპელაციას, მინისტრის საათს, საკომიტეტო მოსმენებს, პარლამენტის წევრთა კითხვებს, თემატურ მოკვლევას, ანგარიშვალდებული ორგანოების მოსმენებს)
	(გ) საარჩევნო ჩარჩოს გაუმჯობესება	**საარჩევნო რეფორმა**, რომელიც ეუთო/ოდირის, ვენეციის კომისიისა და გრეკოს რეკომენდაციებს ეფუძნება (სიახლეები უკავშირდება ელექტრონულ ტექნოლოგიებს, პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას, საარჩევნო ადმინისტრაციას, მარკირებას, დამკვირვებლებს, ადმინისტრაციულ რესურსებს, საჩივრებს, გადათვლას)
3	სასამართლო რეფორმა	**სასამართლო რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის** მიღება (სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს მანამდე განხორციელებული სასამართლო რეფორმების ძირითად მიღწევებს და მოიცავს შემდგომ განსახორციელებელ რეკომენდაციებს სასამართლოს დამოუკიდებლობის, სანდოობის, ანგარიშვალდებულების, ღიაობის და პროფესიონალიზმის გაზრდის მიმართულებით)
		სასამართლო რეფორმის საკანონმდებლო პაკეტი ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მოსაზრებების საფუძველზე, პარლამენტმა 2023 წლის 13 ივნისს დაამტკიცა სასამართლო რეფორმის ცვლილებები: უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევის განახლებული პროცედურა; ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის პროცედურა და მოთხოვნები, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მოთხოვნების ანალოგიურად; სასამართლო აქტების სრული ტექსტების საჯარო ინფორმაციის წესით გამოქვეყნება; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კანდიდატების გაზრდილი ანგარიშვალდებულება; უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებისთვის ეფექტიანი გასაჩივრების უფლება; იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზე გადაწყვეტილების მიღებისას ე.წ. anti-deadlock მექანიზმი; მოსამართლეების მივლინების, გადაყვანის, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვის ახალი რეგულაციები; მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის საკითხები; და სხვა.
		გენერალური პროკურორის არჩევის ახალი პროცედურა ახალი პროცედურა განსაზღვრავს გენერალური პროკურორის არჩევისთვის საჭირო გაზრდილ უმრავლესობას - პარლამენტის წევრთა 3/5-ს. აღნიშნულისთვის პარლამენტში საჭიროა საკონსტიტუციო ცვლილება.
		იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 არამოსამართლე წევრის არჩევა საჭიროა პარლამენტის წევრთა 3/5 ანუ 90 ხმა. 2023 წლის 17 მაისს საქართველოს პარლამენტმა შეძლო 3 არამოსამართლე წევრის არჩევა [93, 91 და 93 ხმით]; დანარჩენ 2 წევრთან დაკავშირებით გრძელდება პოლიტიკური კონსულტაციები.

4	**კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა**	**ანტიკორუფციული ფუნქციების ერთი ინსტიტუტის ქვეშ გაერთიანება** (დაფუძნდა ანტიკორუფციული ბიურო, რომელსაც შემდეგი ფუნქციები აქვს: პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგი; მამხილებელთა დაცვის გაუმჯობესება; ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი; საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადამეტებული გავლენის მქონე პირის ოლიგარქად აღიარება (2024 წლის 1-ლი მარტიდან); ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება და აღსრულება; საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკისა და ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის ზედამხედველობა და კოორდინაცია; კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის შესახებ შეთავაზებებისა და რეკომენდაციების წარდგენა).
		სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება (სიახლეები გულისხმობს: გაზრდილ ბიუჯეტს, ადამიანურ რესურსებს, საგამოძიებო უფლებამოსილებასა და იურისდიქციას; გაუმჯობესებულ სოციალურ შეღავათებსა და გარანტიებს სამსახურის თანამშრომლებისთვის; სამსახურის გაძლიერებულ ანგარიშვალდებულებას და ა.შ.)
		პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება (სიახლეები გულისხმობს: გაზრდილ ბიუჯეტსა და ადამიანურ რესურსებს; გაზრდილ სოციალურ შეღავათებსა და გარანტიებს სამსახურის თანამშრომლებისთვის; სამსახურის გაძლიერებულ ანგარიშვალდებულებას და ა.შ.)
5	**დეოლიგარქიზაცია**	**დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონის** მიღება ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მოსაზრებების საფუძველზე მომზადებული და პარლამენტის მიერ მეორე მოსმენით მიღებული კანონპროექტი აძლიერებს ანტიკორუფციულ ბიუროს და აძლევს უფლებამოსილებას, აღიაროს პირი ოლიგარქად, თუკი ის ერთდროულად აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ სამივე პირობას: (1) მონაწილეობს პოლიტიკურ ცხოვრებაში; (2) მედიამომსახურებაზე ახდენს მნიშვნელოვან გავლენას; (3) ფლობს მნიშვნელოვან ეკონომიკურ რესურსს. კანონპროექტით აგრეთვე რეგულირდება გასაჩივრების პროცესი. მიღების შემთხვევაში კანონი ძალაში შედის 2024 წლის 1-ელ მარტს. ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ მიდგომასთან ერთად, საქართველო ახორციელებს ან უკვე განახორციელა სისტემურ მიდგომასთან დაკავშირებული რეფორმები შემდეგი მიმართულებებით: საარჩევნო კანონმდებლობა, პოლიტიკურ პარტიების დაფინანსების წესი, სასამართლო რეფორმა, საგადასახადო, ანტიკორუფციული, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის, საჯარო შესყიდვების და კონკურენციის რეგულაციები და სხვა.
6	**ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა**	**ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის მიღება** სამოქმედო გეგმა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულის, კრიმინალური სამყაროს, კიბერ-დანაშაულის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების, ნარკოტიკულ ნივთიერებებთან დაკავშირებული დანაშაულების წინააღმდეგ.
		ახალი პენიტენციური კოდექსის მიღება ახალი კოდექსი აღნიშნულ სფეროს აწესრიგებს ევროპული სტანდარტების შესაბამისად. მისი მთავარი ფოკუსია არამხოლოდ პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ადამიანები, არამედ პრევენციის, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის საკითხები.
		MONEYVAL-ის რეკომენდაციების განხორციელება (ცვლილებები ფულის გათეთრების შესახებ კანონში)
7	**თავისუფალი, პროფესიონალური, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედია გარემო**	**ცვლილებები მაუწყებლობის შესახებ კანონში,** რომლითაც ხდება **ევროკავშირის აუდიოვიზუალური მედია სერვისების დირექტივასთან (AVMSD) ჰარმონიზაცია** 2022 წლის 22 დეკემბერს და 2023 წლის 30 ივნისს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები მაუწყებლობის შესახებ კანონში და წარმატებით მოახდინა საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია AVMSD-სთან.

8	მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა	**ადამიანის უფლებათა სტრატეგია 2022-2030** მთავრობამ მიიღო 2022 წლის 5 სექტემბერს; პარლამენტმა დაამტკიცა 2023 წლის 23 მარტს. ახალი სტრატეგია ეხება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვაზე.
		პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონი ევროკავშირთან აღებულ გრძელვადიან ვალდებულებას წარმოადგენს. აღნიშნული კანონი შესაბამისობაშია ევროკავშირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულაციასა და ე.წ. LED დირექტივასთან. აღნიშნული კანონი აძლიერებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საზედამხედველო ფუნქციებს და ქმნის კანონის ნორმათა აღსრულების ეფექტიან საფუძველს.
		2022-2024 წლების სამოქმედო გეგმების მიღება 2022 წლის 25 ოქტომბერს, მთავრობამ დაამტკიცა ორი სხვადასხვა სამოქმედო გეგმა 2022-2024 წლებისთვის: „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს N1325 რეზოლუციის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა“ და „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმა“. აღნიშნული გეგმების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად, განისაზღვრა კონკრეტული ინდიკატორები, საბაზისო მაჩვენებლები, მიზნებსა და აქტივობებზე დაფუძნებული მიზნობრივი ბიუჯეტი.
9	გენდერული თანასწორობა	**გენდერული ზეგავლენის შეფასების** დანერგვა კანონპროექტებისთვის.
		ცვლილებები რამდენიმე საკანონმდებლო აქტში, რომლებიც მიზნად ისახავს საკანონმდებლო დონეზე გენდერული თანასწორობის, როგორც თანაბარი შესაძლებლობის დადგენასა და არსებითი თანასწორობის ხელშეწყობის, როგორც მიზნის, განსაზღვრას.
		გენდერული თანასწორობის კონცეფციის მიღება
		ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციის მიღება
		მსხვერპლთა მიერ მხარდაჭერის სერვისების მარტივად და დაბრკოლებების გარეშე სარგებლობა (სახელმწიფო სერვისებით სარგებლობისთვის გაუქმდა მსხვერპლის სტატუსის მოთხოვნა. აღნიშნულ ასევე შესრულდა სტამბულის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულება)
		კომპენსაცია ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის (კომპენსაციას მსხვერპლთათვის გასცემს სახელმწიფო, თუ ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობის შედეგად ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ზიანი არ ანაზღაურდება დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ. აღნიშნულით ასევე შესრულდა სტამბულის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულება)
		გენდერული კვოტების მოქმედების ვადის გახანგრძლივება 2032 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე
10	სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა	პარლამენტის თავმჯდომარის კოორდინაციით და ხელმძღვანელობით, რეგულარული შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.
		სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დონეზე
11	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პრო-აქტიურად გათვალისწინება	მიღებულ იქნა საკანონმდებლო მექანიზმები, რომლებიც **ხელს უწყობს საქართველოს სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინებას**
12	ახალი სახალხო დამცველი	**ახალი სახალხო დამცველის არჩევა** 2023 წლის 7 მარტს პარლამენტმა ახალ სახალხო დამცველად აირჩია პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი ლევან იოსელიანი. მის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს რეფორმერების, გირჩის, მოქალაქეების, ევროპელი სოციალისტების, ქართულის ოცნების და დამოუკიდებელმა დეპუტატებმა (96 ხმით და წინააღმდეგი ხმის გარეშე. პარლამენტის წევრთა თითქმის 2/3-მა).

ნარატიული ნაწილი

1 პრიორიტეტი 1: პოლიტიკური დეპოლარიზაცია

ევროკავშირის რეკომენდაციების განხორციელების კონსტრუქციულმა სამუშაო პროცესმა ხელი უნდა შეუწყოს პოლიტიკურ დეპოლარიზაციას საქართველოში. პარლამენტის თავმჯდომარემ ყველა საპარლამენტო პოლიტიკურ პარტიას მისცა პროცესში კონსტრუქციული ჩართულობის შესაძლებლობა, შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნა ინკლუზიურობის პრინციპი და ღია კარის პოლიტიკა.

მართლაც, პარლამენტში ევროკავშირის რეკომენდაციებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე კენჭისყრის შედეგები (იხილეთ დანართი 3) აჩვენებს, რომ საპარლამენტო საქმიანობა შედარებით კონსტრუქციულ გარემოში მიმდინარეობდა (9 პოლიტიკური ფრაქციიდან/ჯგუფიდან და პარლამენტის დამოუკიდებელი წევრებიდან 7 სისტემატიურად მონაწილეობდა კენჭისყრებში). პროცესი გრძელდება.

ამასთან ერთად, პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირების გზების მოსაძებნად, პარლამენტის თავმჯდომარე აგრძელებს რეგულარულ შეხვედრებს პოლიტიკურ მოთამაშეებთან.

აგრეთვე, მიმდინარეობს მედიაში პოლარიზაციის ხელშემწყობი განცხადებების მონიტორინგი.

2 პრიორიტეტი 2: სახელმწიფო ინსტიტუტების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა

ა) საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერება

საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმების შემდგომი გაუმჯობესებისთვის, პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა რეგლამენტში. რეფორმა განხორციელდა 2022 წლის 2 ნოემბერს და გულისხმობს შემდეგ სიახლეებს:

- **გაიზარდა ინტერპელაციების რიცხვი** - 4-ის ნაცვლად (მარტი, მაისი, სექტემბერი, ნოემბერი) ინტერპელაციები გაიმართება ყოველ პლენარულ თვეში (ანუ გაორმაგდა ინტერპელაციების რიცხვი).

- **მინისტრის საათი** - მინისტრს ექნება ვალდებულება პარლამენტში გამოსვლამდე 5 დღით ადრე წარმოადგინოს წერილობითი ანგარიში, რათა პარლამენტის წევრები უკეთ მოემზადონ მინისტრის საათისთვის. დღეში ორზე მეტი მინისტრის საათი არ იქნება დაშვებული, რათა ხელი შეეწყოს უფრო სიღრმისეული განხილვების გამართვას პარლამენტში.

- **საკომიტეტო მოსმენა** - კომიტეტის თავმჯდომარე ვალდებულია, პარლამენტის წევრების მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში მოიწვიოს მთავრობის წარმომადგენელი კომიტეტის წინაშე გამოსვლისთვის. შემუშავებულია პროაქტიული კვარტალური ანგარიშგება და ონლაინ გამოქვეყნების შესაძლებლობა

- **პარლამენტის წევრის კითხვა** - პარლამენტის წევრის კითხვაზე პასუხის გაცემის ვადა შემცირდა 15 დღიდან 10 დღემდე. თუ კითხვის ადრესატი ვერ ახერხებს დროულად პასუხის გაცემას, ვალდებულია წევრს წარუდგინოს არგუმენტირებული წერილობითი თხოვნა დამატებით 10 დღით ვადის გაზრდისთვის. შემუშავებულია პროაქტიული კვარტალური ანგარიშგება და ონლაინ გამოქვეყნების შესაძლებლობა. ანგარიში შესაძლოა განხილულ იქნეს პლენარულ სხდომაზე.

- **თემატური მოკვლევა** - თემატური მოკვლევა შეიძლება დაიწყოს უფრო ნაკლები უმრავლესობის გადაწყვეტილებით - კომიტეტშის სხდომაზე მონაწილე წევრთა უმრავლესობით, ნაცვლად ყველა წევრის უმრავლესობისა. 3-თვიანი ვადა შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ ერთხელ, მაქსიმუმ 2 თვით; შეიქმნება რეკომენდაციების სია და მათი შესრულების კონტროლის მექანიზმი.

- **ანგარიშვალდებული უწყებების ანგარიშების მოსმენა** - სახელმწიფო უსაფრთხოების

სამსახურის ანგარიში პარლამენტის წინაშე წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ მისი ხელმძღვანელის მიერ (ნაცვლად ხელმძღვანელის მოადგილისა).

პარლამენტის წევრთათვის უფრო მძლავრი, გამჭვირვალე და მოქნილი ინსტრუმენტებისა და პროცედურების უზრუნველყოფით, აღნიშნული ცვლილებები აძლიერებს სახელმწიფო უწყებების ანგარიშვალდებულებას და ხელს შეუწყობს მათზე დემოკრატიულ კონტროლს. ეს ცვლილებები, აგრეთვე, ასახავს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმებს.

ბ) საარჩევნო რეფორმა

2022 წლის 22 დეკემბერს, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის, ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ანტი-კორუფციული სააგენტოს (GRECO) რეკომენდაციების გათვალისწინებით, პარლამენტმა შეიტანა ცვლილებები საარჩევნო კოდექსში. მრავალპარტიული მხარდაჭერით (თითქმის 2/3-ის უმრავლესობით) მიღებულ იქნა შემდეგი ძირითადი სიახლეები:

- **ელექტრონული ხმის მიცემის სისტემა** – პირველად საქართველოს ისტორიაში, პარლამენტმა მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, სრულად გადავიდეს არჩევნების დროს ტექნოლოგიების გამოყენებაზე. ამომრჩეველთა არანაკლებ 90% არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით. არჩევნების ელექტრონული სისტემა მოიცავს ამომრჩეველთა ელექტრონულ რეგისტრაციას და საარჩევნო უბანზე მისვლისას იდენტიფიკაციას, ხმის მიცემას, ხმების დათვლასა და შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენას. გამოყენებული ბიულეტენები იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც არ არის ელექტრონული რეგისტრაცია და დათვლის აღჭურვილობა (ამომრჩეველთა 10%), სრულად იქნება გაციფრულებული და ატვირთული ცესკოს ოფიციალურ ონლაინ პორტალზე, სადაც ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

- **პარტიების დაფინანსება** - პარტიის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების დასაშვები საერთო ოდენობის ზედა ზღვარი ნახევრდება საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0,1%-დან 0,05%-მდე (ანუ დღევანდელი 60 მლნ ლარის ხარჯების ზედა ზღვარი თითოეული მხარისთვის შემცირდება 30 მლნ ლარამდე). ეს უფრო თანაბარ პირობებს შეუქმნის პოლიტიკურ პარტიებს.

- **ადმინისტრაციული რესურსები** - ადმინისტრაციული რესურსების უკანონო გამოყენებისთვის 2,000-ლარიანი ჯარიმა გაორმაგდება და გახდება 4,000 ლარი; ადმინისტრაციული რესურსის უკანონო გამოყენებისთვის პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების ვადა სამი წელი იქნება.

- **საარჩევნო ადმინისტრაცია** – მოხდება პროფესიულ საფუძველზე არჩეული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სერტიფიცირება და შეიქმნება კომისიის სერტიფიცირებული წევრების მონაცემთა ბაზა; დაწესდება კონკრეტული კრიტერიუმები პროფესიულ საფუძველზე არჩეული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის მათი ნეიტრალიტეტისა და მიუკერძოებლობის გაუმჯობესების მიზნით; საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის დისციპლინური 30-დღიანი პასუხისმგებლობის დაკისრების ვადა იქნება 7 დღე (თუ შემთხვევა მოხდა არჩევნებამდე) ან 12 დღე (თუ შემთხვევა მოხდა არჩევნების დღეს); შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია აირჩევს არა მხოლოდ 8 საუბნო საარჩევნო კომისიას, არამედ კომისიის ხელმძღვანელობასაც (მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ხელმძღვანელობას საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ირჩევენ).

- **საჩივრები** - საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ქმედებების საოლქო საარჩევნო კომისიაში გასაჩივრების ვადა ორიდან სამ დღემდე იზრდება.

- **გადათვლა** - თუ მოცემულ უბანზე დათვლილი ბიულეტენების რაოდენობა იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, ვინც რეალურად მისცა ხმა, 5-ით ან მეტით აღემატება, ან თუ ეს რიცხვი რეალურ ამომრჩეველზე ნაკლებია 10-ით ან მეტით, ამ უბანზე ხმები

გადაითვლება.

- **მარკირება** - ამომრჩევლები, რომლებიც იყენებენ გადასატან საარჩევნო ყუთს ასევე დაექვემდებარებიან მარკირებას.

- **დამკვირვებლები** - ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების მანდატი გაფართოვდება - რეგისტრაციის საფუძველზე მათ შესაძლებლობა ექნებათ არასაარჩევნო პერიოდშიც დაესწრონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომებს.

გ) 2023-2026 წლების საჯარო სამსახურის რეფორმის სტრატეგია და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა

2023 წლის თებერვალში საქართველოს მთავრობამ მიიღო 2023-2026 წლების საჯარო სამსახურის რეფორმის სტრატეგია და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს მიმდინარე ან დაგეგმილ რეფორმებს:

- 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგია.
- 2022-2025 წლების სახელმწიფო სერვისების განვითარების სტრატეგია.
- საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგია.
- ციფრული მმართველობის სტრატეგია.
- ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია.
- საქართველოს ღია მმართველობის სამოქმედო გეგმა

დ) თავდაცვის ახალი კოდექსის მიღება
თავდაცვის ახალი კოდექსი ნატოს სტანდარტების მიხედვით აწესრიგებს აღნიშნულ სფეროს და განამტკიცებს ქვეყნის თავდაცვის სისტემის ინსტიტუციურ არქიტექტურას.

3 პრიორიტეტი 3: სასამართლო რეფორმა

ევროკავშირის მესამე პრიორიტეტის ფარგლებში, სასამართლო რეფორმა შემდეგ ნაბიჯებს მოიაზრებს:

- პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში არსებულმა სასამართლო რეფორმის საპარლამენტო სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა **სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა**. დოკუმენტი მოიცავს მანამდე განხორციელებული სასამართლო რეფორმების მიღწევებსა და სასამართლოში ჯერ კიდევ არსებულ გამოწვევებს. აღნიშნული დოკუმენტი პარლამენტმა 2022 წლის 1-ელ ოქტომბერს დაამტკიცა.

- სასამართლო რეფორმის სტრატეგიის საფუძველზე, 2022 წლის 4 ნოემბერს, პარლამენტს წარედგინა **საკანონმდებლო ცვლილებები სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით.** ისინი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევის განახლებული პროცედურა, ვენეციის კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად; ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის პროცედურა და მოთხოვნები, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მოთხოვნების ანალოგიურად; სასამართლო აქტების სრული ტექსტების საჯარო ინფორმაციის წესით გამოქვეყნება; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კანდიდატების გაზრდილი ანგარიშვალდებულება და ბევრი სხვა. ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა დადებითად შეაფასეს ცვლილებები, თუმცა, წარმოადგინეს დამატებითი რეკომენდაციები სასამართლოს სხვა ასპექტებთან დაკავშირებით. აღნიშნულის საფუძველზე, ვენეციის კომისიის/ოდირის მოსაზრებებით გათვალისწინებული, სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფმა დამატებით დააინიცირა შემდეგი ცვლილებები: უზენაესი სასამართლოს

მოსამართლეობის კანდიდატებისთვის ეფექტიანი გასაჩივრების უფლება; იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზე გადაწყვეტილების მიღებისას ე.წ. anti-deadlock მექანიზმი; მოსამართლეების მივლინების, გადაყვანის, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვის ახალი რეგულაციები; მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის საკითხები; და სხვა. პარლამენტმა აღნიშნული ცვლილებები 2023 წლის 13 ივნისს დაამტკიცა.

- 2022 წლის 31 აგვისტოს, პარლამენტის ქართული ოცნების ფრაქციამ **გენერალური პროკურორის არჩევის** პროცედურის შესახებ საკონსტიტუციო ცვლილების ინიცირება მოახდინა. საკონსტიტუციო ცვლილების პროექტის მიზანია, გაზარდოს ზღვარი პარლამენტის მიერ გენერალური პროკურორის ასარჩევად **პარლამენტის წევრების მინიმუმ 3/5-მდე**. 18 ოქტომბერს პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილება პირველი მოსმენით, მრავალპარტიული მხარდაჭერით მიიღო (126 ხმა 150-დან). გრძელდება კონსულტაციები შემდგომ საკანონმდებლო და პოლიტიკურ ნაბიჯებთან დაკავშირებით.

- პარლამენტმა უნდა აირჩიოს **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 არამოსამართლე წევრი** (კანდიდატის ასარჩევად საჭიროა დეპუტატების 3/5-ის მხარდაჭერაა - 90 ხმა). რამდენიმე წლის მცდელობების შემდეგ, 2023 წლის 17 მაისს, პარლამენტმა შეძლო 3 წევრის არჩევა (93, 91 და 93 ხმით). კონსულტაციები გრძელდება დანარჩენ 2 წევრთან დაკავშირებით.

4 პრიორიტეტი 4: ანტიკორუფციული სააგენტოს გაძლიერება

ა) ანტიკორუფციული ბიუროს დაარსება

2022 წლის 30 ნოემბრის საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, ახალი, დამოუკიდებელი ანტიკორუფციული ბიურო დაარსდა, რითაც სხვადასხვა უწყებაში გაბნეული ანტიკორუფციული ფუნქციები მოექცა ერთი ინსტიტუციური ქოლგის ქვეშ.

ანტიკორუფციული ბიურო შემდეგ ფუნქციებზეა პასუხისმგებელი:

- ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება და აღსრულება;
- თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი;
- მამხილებელთა დაცვის გაუმჯობესება;
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადამეტებული გავლენის მქონე პირის ოლიგარქად განსაზღვრა (დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონის მიღების და 2024 წლის 1-ელ მარტს ამოქმედების შემთხვევაში);
- პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგი და ამ სფეროსთან დაკავშირებული შესაბამისი საქმიანობის უზრუნველყოფა;
- საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკისა და ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის ზედამხედველობა და კოორდინაცია;
- კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის შესახებ წინადადებების შემუშავება და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა; ამ კუთხით საქართველოს პარლამენტისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

სახალხო დამცველის ოფისის, სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებით დაკოპლექტებულმა კომისიამ, ღია კონკურსითა და გამჭვირვალე პროცედურებით, ბიუროს ხელმძღვანელის პოზიციისთვის შეარჩია სამი კანდიდატი. 2023 წლის თებერვალში, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა შერჩეული კანდიდატებიდან, 6 წლის ვადით, დანიშნა ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელი.

იხილეთ დანართი 4 საქართველოს ანტიკორუფციული ინსტიტუციური არქიტექტურის

გასაცნობად.

ბ) სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება

2022 წლის 30 ნოემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით, აგრეთვე, გაუმჯობესდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობები, გაიზარდა მათი ეფექტიანობა და დამოუკიდებლობა. კერძოდ, მიღებულ იქნა შემდეგი ცვლილებები:

- ბიუჯეტი და ადამიანური რესურსები თითქმის გაორმაგდა.
- სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილება და იურისდიქცია გაფართოვდა.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომელთა სოციალური დაცვის შეღავათები გაძლიერდა.
- გაიზარდა ორივე სააგენტოს ანგარიშვალდებულება.

5 პრიორიტეტი 5: დე-ოლიგარქიზაცია

ა) ინდივიდუალური მიდგომა

2022 წელს პარლამენტმა დააინიცირა დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტი და სამართლებრივი მოსაზრებისთვის გაუგზავნა ვენეციის კომისიასა და ეუთო/ოდირს. მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტში და 2023 წლის მარტში ხელმეორედ გაუგზავნა ვენეციის კომისიას.

განახლებული და მეორე მოსმენით მიღებული კანონპროექტის თანახმად, ფიზიკური პირი, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ სამივე პირობას, შეიძლება იყოს „ოლიგარქი“:

- მონაწილეობს პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მედიამომსახურებაზე;
- ფლობს მნიშვნელოვან ეკონომიკურ რესურსს;

ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, კანონპროექტი მოიცავს აღნიშნული სამი კრიტერიუმის დეტალურ განმარტებებს და, აგრეთვე, ოლიგარქად აღიარებულ პირზე დაწესებულ აკრძალვებს (კანონპროექტის პირველ ვერსიასთან შედარებით, განსაზღვრულია ნაკლები აკრძალვა). ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის რეკომენდაციების საფუძველზე, განახლებული კანონპროექტი ასევე მოიცავს პირის ოლიგარქად აღიარების პროცესში მისი უფლებების დაცვისა და პროცედურების გაუმჯობესებულ სისტემას.

დამოუკიდებელი ანტიკორუფციული ბიურო (რომელიც დაარსდა ევროკავშირის მეოთხე პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში) უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები პირის ოლიგარქად აღიარებასთან დაკავშირებით. კანონპროექტის მიხედვით, შეიქმნება ოლიგარქების სპეციალური რეესტრიც, რომელსაც ანტიკორუფციული ბიურო მართავს.

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, მისი ამოქმედების თარიღად მოიაზრება 2024 წლის 1-ლი მარტი.

ბ) სისტემური მიდგომა

საქართველოს კარგი შედეგები აქვს საერთაშორისო ანგარიშებსა და რეიტინგებში, რომლებიც ეხება ანტიკორუფციულ, ფულის გათეთრების საწინააღმდეგო, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის, ღიაობისა და გამჭვირვალობის, მთავრობის კეთილსინდისიერებისა და მექრთამეობის რისკების, კორუფციისგან თავისუფალი საჯარო სამსახურისა და სახელმწიფო სერვისების საკითხებს. საქართველო ლიდერია ფართო შავი ზღვის სივრცეში, აღმოსავლეთ პარტნიორობის და ბალკანეთის ქვეყნებს შორის და, აგრეთვე, უსწრებს ევროკავშირისა და ნატოს 10 წევრ ქვეყანასაც კი.

თუმცა, საქართველო აგრძელებს მუშაობას ამ მიმართულებით. კერძოდ, ევროკავშირის 12 პრიორიტეტისა და ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, საქართველომ უკვე განახორციელა (ან განხორციელების პროცესშია) ახალი რეფორმები არჩევნებთან, პოლიტიკური პარტიების დაფინანსებასთან, საჯარო შესყიდვებთან, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის, სასამართლოს, ანტიკორუფციისა და ბევრი სხვა მიმართულებით. ამასთან, საქართველო გეგმავს ვაჭრობის შემზღუდველი პრაქტიკების შესახებ ევროკავშირის დირექტივასთან ჰარმონიზაციას, რაც დამატებით მოაწესრიგებს მონოპოლიური და ბაზარზე სამართლიანი ვაჭრობის შემზღუდველი ქმედებების რეგულირებას.

ყველა ზემოაღნიშნული წარმოადგენს სისტემური მიდგომის კომპონენტებს.

6 პრიორიტეტი 6: ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა

ა) ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საპარლამენტო სამოქმედო გეგმა

2022 წლის 28 ოქტომბერს პარლამენტმა მიიღო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა. შემუშავებული წინადადებები მოიცავს 76 აქტივობას შემდეგ სფეროებში:

- ორგანიზებული დანაშაულის (მათ შორის, „კანონიერი ქურდების“, „ქურდული სამყაროს“ წევრებისა და მათი მხარდამჭერების) წინააღმდეგ ბრძოლა;
- კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;
- ბრძოლა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ;
- ბრძოლა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ;
- ბრძოლა ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ.

ბ) ახალი პენიტენციური კოდექსის მიღება

ახალი კოდექსი აღნიშნულ სფეროს აწესრიგებს ევროპული სტანდარტების შესაბამისად. მისი მთავარი ფოკუსია არა მხოლოდ პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ადამიანები, არამედ პრევენციის, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის საკითხები.

გ) ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) რეკომენდაციები

ფინანსთა სამინისტროს ინიცირებით, პარლამენტმა დაამტკიცა ფულის გათეთრების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები MONEYVAL-ის რეკომენდაციების შესასრულებლად.

7 პრიორიტეტი 7. დამოუკიდებელი მედია გარემო

პარლამენტმა 2022 წლის 22 დეკემბერს და 2023 წლის 30 ივნისს მიიღო ცვლილებები მაუწყებლობის შესახებ კანონში, რომლითაც მოახდინა აუდიოვიზუალური მედია სერვისების დირექტივასთან (AVMSD) ჰარმონიზაცია. აღნიშნული ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ დიდი ხნის ვალდებულებას წარმოადგენდა. ის დამატებით შეუწყობს ხელს პროფესიონალურ, პლურალისტურ და დამოუკიდებელ მედია გარემოს საქართველოში, საუკეთესო ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

8 პრიორიტეტი 8. მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა

ა) 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა სტრატეგია

2022 წლის 5 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო ადამიანის უფლებათა ახალი სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის, რომელიც პარლამენტმა 2023 წლის 23 მარტს დაამტკიცა.

ახალი სტრატეგია ეხება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვაზე.

ბ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალი კანონი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ 2023 წლის ივნისში მიღებული ახალი კანონი სრულ შესაბამისობაშია ევროკავშირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულაციასა და ე.წ. LED დირექტივასთან. აღნიშნული კანონი აძლიერებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საზედამხედველო ფუნქციებს და ქმნის კანონის ნორმათა აღსრულების ეფექტიან საფუძველს.

გ) სამოქმედო გეგმები 2022-2024 წლებისთვის

2022 წლის 25 ოქტომბერს, მთავრობამ მიიღო ორი სამოქმედო გეგმა 2022-2024 წლებისთვის: „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს 1325 რეზოლუციის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა“ და „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმა“. აღნიშნული გეგმების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად, განისაზღვრა კონკრეტული ინდიკატორები, საბაზისო მაჩვენებლები, ასევე, მიზნებსა და აქტივობებზე დაფუძნებული მიზნობრივი ბიუჯეტი.

9 პრიორიტეტი 9: გენდერული თანასწორობა, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა

მე-9 პრიორიტეტის განსახორციელებლად პარლამენტმა და საქართველოს მთავრობამ მიიღეს შემდეგი სიახლეები:

- გენდერული ზეგავლენის შეფასების დანერგვა კანონპროექტებისთვის.
- სახელმწიფო სერვისებზე (თავშესაფარი, კრიზისული ცენტრი, სხვ.) წვდომის გამარტივება, მათ შორის, ამ სერვისების გამოყენებისთვის მსხვერპლის სტატუსის საჭიროების გაუქმება (სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულება).
- კომპენსაცია ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის (სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულება - მუხლი 30 კომპენსაციის შესახებ) – 2022 წლის 9 ნოემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი. კომპენსაციას მსხვერპლთათვის გასცემს სახელმწიფო, თუ ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობის შედეგად, ჯანმრთელობის დაზიანებით

გამოწვეული ზიანი არ ანაზღაურდება დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ ან ნაწილობრივ ანაზღაურდება ამავე წესის მიხედვით. სახელმწიფოსგან კომპენსაცია შეუძლია მოითხოვოს მსხვერპლმა, რომელმაც ძალადობის შედეგად მიიღო ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანი. კომპენსაცია, ასევე, შეუძლიათ მოითხოვონ ფემიციდის მსხვერპლი ქალის არასრულწლოვანმა შვილებმა.

- ცვლილებები რამდენიმე საკანონმდებლო აქტში, რომლებიც მიზნად ისახავს საკანონმდებლო დონეზე გენდერული თანასწორობის, როგორც თანაბარი შესაძლებლობის დადგენასა და არსებითი თანასწორობის ხელშეწყობის, როგორც მიზნის, განსაზღვრას.

- გენდერული თანასწორობის კონცეფციის მიღება.

- ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სტრატეგიის მიღება.

- გენდერული კვოტების მოქმედების ვადის გახანგრძლივება 2032 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩათვლით.

10 პრიორიტეტი 10: სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

პარლამენტის თავმჯდომარე კოორდინაციას უწევს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ეფექტიან ჩართულობას 12 პრიორიტეტის შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა პროცესში, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმასთან პარტნიორობით.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმასთან შეთანხმების საფუძველზე, თითო საპარლამენტო სამუშაო ჯგუფში საქართველოს ეროვნული პლატფორმის ორი წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას, რომლებიც წარმოადგენდნენ მთელ სამოქალაქო საზოგადოებასა და მათ ხმას (პროცესი ინკლუზიური იყო გეოგრაფიული და თემატური ასპექტების გათვალისწინებით).

მას შემდეგ, რაც განხილვებმა გადაინაცვლა საპარლამენტო კომიტეტებში, საკომიტეტო მოსმენები იყო ღია (პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, როგორც წესი, საკომიტეტო სხდომები ღიაა) ნებისმიერი დაინტერესებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისთვის დასასწრებად და საკომიტეტო განხილვებში მონაწილეობის მისაღებად.

პარლამენტის თავმჯდომარე უზრუნველყოფს საკანონმდებლო საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობას 12 პრიორიტეტზე მიმდინარე მუშაობის მიღმაც. ასევე, თავმჯდომარე თავად გახდა ღია მმართველობის მუდმივი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე, რაც ხაზს უსვამს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მნიშვნელობას, ზრდის საბჭოს როლსა და მნიშვნელობას საპარლამენტო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

11 პრიორიტეტი 11. საქართველოს სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინება

2022 წლის 18 ოქტომბერს, პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო პაკეტი მოიცავს შემდეგ სიახლეებს:

- საკანონმდებლო მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობენ საქართველოს

სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე მითითებას.

- მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და მათი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინების/მითითების მხრივ.

- სასამართლო სისტემაში ახალი ორგანიზაციული დანაყოფების ჩამოყალიბება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაანალიზებლად და მოსამართლეთათვის მათზე წვდომის გასაუმჯობესებლად.

- საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თარგმნისა და გამოქვეყნების ეფექტიანი მექანიზმის დაფუძნება.

12 პრიორიტეტი 12: სახალხო დამცველის წარდგენა

სახალხო დამცველის ოფისი არის პარლამენტთან მჭიდრო დაკავშირებული ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობას ქვეყნის მასშტაბით ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში. 2022 წლის დეკემბრიდან სახალხო დამცველის პოზიცია ვაკანტური იყო.

სახალხო დამცველის არჩევის უფლებამოსილება პარლამენტს ეკუთვნის. პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, საპარლამენტო ფრაქციას, პოლიტიკურ ჯგუფს ან 7 დამოუკიდებელ პარლამენტის წევრს შეუძლიათ კანდიდატის წარდგენა. შემდეგი ეტაპია თითოეული კანდიდატის საკომიტეტო მოსმენა. სახალხო დამცველის ასარჩევად კი საჭიროა პლენარულ სხდომაზე ყველა პარლამენტის წევრის 3/5-ის კვალიფიციური უმრავლესობა (90 ხმა).

ახალი სახალხო დამცველის ასარჩევად საჭირო მხარდაჭერის მობილიზებისთვის, 2022 წლის საშემოდგომო სესიაზე საპარლამენტო პოლიტიკურ პარტიებს შორის გაიმართა პოლიტიკური კონსულტაციების რამდენიმე რაუნდი. თუმცა, ვერ მოხერხდა ყველასთვის მისაღებ კანდიდატზე შეჯერება.

რამდენიმე მცდელობის შემდეგ, საპარლამენტო პოლიტიკურმა პარტიებმა წარმატებით მიაღწიეს კონსენსუსს:

- საპარლამენტო ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ჯგუფმა „მოქალაქეები“ წარადგინა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ლევან იოსელიანის კანდიდატურა.

- 2023 წლის 6 მარტს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა მოსმენა გამართა ლევან იოსელიანის მოსაზრებების შეფასების მიზნით სახალხო დამცველის ოფისის შესაძლებლობების და დამოუკიდებლობის გაძლიერებასა და საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით.

- 2023 წლის 7 მარტს პარლამენტმა აირჩია იოსელიანი 96 ხმით (პარლამენტის წევრთა თითქმის 2/3-ის მხარდაჭერით), წინააღმდეგი ხმის გარეშე. რეფორმერებმა, გირჩმა, მოქალაქეებმა, ევროპულმა სოციალისტებმა, ქართულმა ოცნებამ და 11-მა დამოუკიდებელმა პარლამენტის წევრმა დაუჭირეს მხარის ლევან იოსელიანის კანდიდატურას.

დანართი 1

საქართველოს პარლამენტში განხილვებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფები

საპარლამენტო სამუშაო ჯგუფი:	პრიორიტეტი	პასუხისმგებელი საპარლამენტო კომიტეტი
რეგლამენტში განსახორციელებელ ცვლილებებზე (საპარლამენტო ზედამხედველობის გასაძლიერებლად)	2	საპროცედურო საკითხთა და წესების
საარჩევნო კოდექსში განსახორციელებელ ცვლილებებზე	2	იურიდიულ საკითხთა
სასამართლო რეფორმის	3	იურიდიულ საკითხთა
კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების	4	იურიდიულ საკითხთა
სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების	4	იურიდიულ საკითხთა
დეოლიგარქიზაციის	5	იურიდიულ საკითხთა
ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების	6	თავდაცვისა და უშიშროების
გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების	9	გენდერული თანასწორობის საბჭო და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველოს სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიულად გათვალისწინების	11	იურიდიულ საკითხთა

დანართი 2

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ძირითადი კანონები, ცვლილებები ან საკანონმდებლო პაკეტები ევროკავშირის 12 პრიორიტეტის განსახორციელებლად

ძირითადი კანონები / საკანონმდებლო პაკეტები	ევროკავშირის პრიორიტეტი	სტატუსი	წყარო
საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი	2: ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა	მიღებულია	https://matsne.gov.ge/en/document/view/5602657?publication=0
საქართველოს საარჩევნო კოდექსი	2: ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა	მიღებულია	https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=79
საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ	3: სასამართლო რეფორმა	მიღებულია	
საქართველოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კანონი	4: ანტიკორუფციული სააგენტოს გაძლიერება	მიღებულია	https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550?publication=81
სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი	4: ანტიკორუფციული სააგენტოს გაძლიერება	მიღებულია	https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276790?publication=9 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=25
დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი	5: დეოლიგარქიზაცია	მიღებულია მეორე მოსმენით	https://info.parliament.ge/#law-drafting/24794
საქართველოს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ	6: ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა	მიღებულია	
ცვლილებები მაუწყებლობის შესახებ კანონში	7: მედია	მიღებულია	

ძირითადი კანონები / საკანონმდებლო პაკეტები	ევროკავშირის პრიორიტეტი	სტატუსი	წყარო
2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა სტრატეგია	8: მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა	მიღებულია	
პერსონალურ მონაცემთა დაცვის მომსახურების შესახებ ახალი კანონი	8: მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა	მიღებულია	
საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ	9: გენდერული თანასწორობა, ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთა	მიღებულია	https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=37
საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ	9: გენდერული თანასწორობა, ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთა	მიღებულია	https://matsne.gov.ge/en/document/view/91624?publication=9
საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია გენდერული თანასწორობის შესახებ	9: გენდერული თანასწორობა, ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთა	მიღებულია	https://matsne.gov.ge/ka/document/view/5664358?publication=0
საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ	9: გენდერული თანასწორობა, ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთა	მიღებულია	https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=22
საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ	11: საქართველოს სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიულად გათვალისწინება	მიღებულია	https://matsne.gov.ge/en/document/view/90676?publication=34

დანართი 3

საქართველოს პარლამენტის კენჭისყრის შედეგები ევროკავშირის პრიორიტეტებთან დაკავშირებულ აქტივობებზე/კანონმდებლობაზე

ევროკავშირის პრიორიტეტი	აქტივობა	სტატუსი		
			ქართული ოცნება (75)	ენმ (30)
2.	საპარლამენტო ზედამხედველობა (ცვლილებები პარლამენტის რეგლამენტში)	მიღებულია	73	0
	საარჩევნო რეფორმა (ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში საქართველოს საარჩევნო კოდექსი	მიღებულია	73	0
3.	ცვლილებები ორგანულ კანონში საერთო სასამართლოების შესახებ	მიღებულია	71	0
	საკონსტიტუციო ცვლილება გენერალური პროკურორის არჩევასთან დაკავშირებით	პირველი მოსმენა	75	23
	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის ტრისტან ბენაშვილის არჩევა (ფარული კენჭისყრა)	არჩეულია		
	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის გიორგი გზობავას არჩევა (ფარული კენჭისყრა)	არჩეულია		
	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის ზურაბ გურასპაშვილის არჩევა (ფარული კენჭისყრა)	არჩეულია		
4.	ანტიკორუფციული ბიუროს დაარსება (ცვლილება საჯარო მომსახურების სექტორში ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის შესახებ კანონში	მიღებულია	66	0
	სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება (ცვლილება კანონში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ)	მიღებულია	67	0
	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება (ცვლილებები პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შესახებ კანონში)	მიღებულია	67	0
5.	დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი	მეორე მოსმენა	71	0
6.	პენიტენციური კოდექსი	პირველი მოსმენა	69	0
	MONEYVAL-ის რეკომენდაციების განხორციელება (ცვლილება ფულის გათეთრების შესახებ კანონში)	მიღებულია	64	0
7.	ცვლილება მაუწყებლობის შესახებ კანონში, 30 ივნისი 2023 (ევროკავშირის აუდიოვიზუალური მედია სერვისებისდირექტივასთან ჰარმონიზაცია)	მიღებულია	67	0

კენჭისყრის შედეგები								ჯამი
			რეფორმერები (5)					
მოქალაქეები (2)	გირჩი (4)	ევროპელი სოციალისტები (4)	სტრატეგია (2)	სხვები (3)	ლელო (2)	საქართვე-ლოსთვის (3)	დამოუკიდებელი /უფრაქციო დეპუტატები	
2	2	2	0	0	0	0	9	88
2	2	3	0	2	2	0	12	96
0	0	2	0	0	1	0	9	83
2	3	4	2	2	2	5	8	126
								93
								91
								93
0	0	3	0	0	0	0	8	77
0	0	3	0	0	1	0	9	80
0	0	3	0	0	0	0	8	78
0	0	1	0	0	0	0	9	81
0	0	0	0	1	0	0	10	80
0	0	1	0	0	0	0	9	74
0	0	1	0	0	0	0	9	77

8.	ადამიანის უფლებათა სტრატეგია 2022-2030	მიღებულია	61	0	
	პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონი	მიღებულია	67	0	
9.	ცვლილება ნორმატიული აქტების შესახებ კანონში	მიღებულია	72	0	
	ცვლილება გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში	მიღებულია	71	0	
	გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია	მიღებულია	74	0	
	ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია	მიღებულია	60	0	
	ცვლილება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონში	მიღებულია	71	0	
	ცვლილება საქართველოს საარჩევნო კოდექსში (გენდერული კვოტების გახანგრძლივებასთან დაკავშირებით)	მიღებულია	68	0	
11.	ცვლილება საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინების წახალისება)	მიღებულია	70	5	
12.	ახალი სახალხო დამცველის არჩევა	არჩეულია	73	0	

1	0	2	0	1	2	0	11	78
0	0	1	0	0	0	0	9	77
0	0	2	0	0	1	1	7	83
0	0	0	0	1	0	0	8	80
1	0	2	0	2	0	0	9	88
1	0	2	0	1	2	0	12	78
0	0	2	0	1	2	0	12	88
0	0	4	0	3	2	1	10	88
0	2	4	0	0	2	5	13	101
2	4	4	0	2	0	0	11	96

დანართი 4

საქართველოს ანტიკორუფციული ორგანოების ინსტიტუციური არქიტექტურა

უწყებათშორისი ანტიკორუფციული საბჭო

- შეიმუშავებს წინადადებებს და რეკომენდაციებს კორუფციასთან ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის, ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის.
- შეიმუშავებს რეკომენდაციებს ანტიკორუფციული ბიუროს საქმიანობის გაუმჯობესებისთვის.
- ანტიკორუფციულ ბიუროს სთხოვს ანგარიშის წარდგენას.
- წევრები: მთავრობის, პარლამენტის, სასამართლოს, სამოქალაქო საზოგადოების, პროკურატურის, სუს-ის, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები.

ანტიკორუფციული ბიურო

- კოორდინაციას უწევს მხარეების საქმიანობას ზოგადი პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის (მიიღება პარლამენტის მიერ), ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (მიიღება მთავრობის მიერ) განხორციელებისთვის.
- არეგულირებს და აღასრულებს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებს.
- ოლიგარქად განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადამეტებული გავლენის მქონე პირს (2024 წლის 1-ლი მარტიდან).
- მონიტორინგს უწევს თანამდებობის პირების ქონებრივ დეკლარაციას.
- მუშაობს მამხილებელთა დაცვის გაუმჯობესებაზე.
- მონიტორინგს უწევს პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას.
- მთავრობის, სახალხო დამცველის, სამოქალაქო საზოგადოების და პარლამენტის წარმომადგენლების კომისია შეარჩევს ბიუროს ხელმძღვანელის სამ კანდიდატს. ამ კანდიდატებიდან ბიუროს ხელმძღვანელს ნიშნავს პრემიერ-მინისტრი.

საგამოძიებო უფლებებით

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

- იძიებს კორუფციასთან დაკავშირებულ დანაშაულებს (გამონაკლისებისთვის იხილეთ პროკურატურა).
- პროაქტიულად მუშაობს კორუფციის შემთხვევების გამოაშკარავებაზე.
- კორუფციის წინააღმდეგ აწარმოებს პრევენციულ საქმიანობას.
- სუს-ის ხელმძღვანელს წარადგენს მთავრობა და წევრთა უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი.

პროკურატურა

- იძიებს მაღალი რანგის თანამდებობის პირების (მათ შორის, პრეზიდენტის, პარლამენტის წევრის, მთავრობის წევრის, მოსამართლის, სახალხო დამცველის, ელჩის, გენერალური აუდიტორის და სხვათა) კორუფციასთან დაკავშირებულ დანაშაულებს.
- ახორციელებს კორუფციასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიების საპროცედურო ზედამხედველობას.
- კორუფციასთან დაკავშირებით აწარმოებს პრევენციულ და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საქმიანობას.
- საპროკურორო საბჭო წარადგენს გენერალური პროკურორის კანდიდატურას, რომელსაც წევრების უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი (წარდგენილი საკონსტიტუციო კანონპროექტით, გენ.პროკურორს პარლამენტი აირჩევს 3/5-ის უმრავლესობით).

საქართველოს პარლამენტი